შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№255(C)/ 10. 01. 2016 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ფიზკულტურის და გოთუას ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთის წინა 16/23), საკადასტრო კოდით №01.10.13.016.023 შპს "ტორნადო+"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საპორექტო დოკუმენტაციის მიხედვით არსებულ ფართზე მიშენების განხორციელების პერიოდში ზეგავლენის შესაძლებლობა მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების მიმართ

თბილისი

2016 წელი



შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა ფიზკულტურის და გოთუას ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთის წინა 16/23) დაგეგმვალა და შემოწმება ჩაუტარეთ შპს "ტორნადო+"-ს საკუთრებაში არსებულ ერთ სართულიან შენობის ფართზე, რაც გულისხმობს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიშენების მშენებლობას. კვლევის მიზანია დავადგინოთ მოახდენს თუ არა აღნიშნული სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობების მიმართ.

კვლევის შედეგად სრულიად იქნა შესწავლილი მომიჯნავე ნაკვეთები, საიდანაც აღნიშნულ საპროექტო ნაკვეთს ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.10.13.016.129 მიწის ნაკვეთი. წარმოდგენილი მდგომარეობით აღნიშნულ მომიჯნავე ნაკვეთზე არ არის განთავსებული კაპიტალური შენობა და რაიმე-სახის დანიშნულების შენობა-ნაგებობა, თუმცა საპროექტო მიშენებას ესაზღვრება საძირკვლები, რომელიც შესრულებულია ანაკრები ცოკოლისა და რკინა-ბეტონის ფილებით და არის საპროექტო შენობიდან დაშორებული. აღნიშნული კონსტრუქციები არავითარ კავშირში არ არის საპროექტო ტერიტორიასთან და მშენებლობის პროცესში გამორიცხულია ყოველგვარი ზეგავლენის წარმოქმნის პირობა.

საპროექტო ნაკვეთი განთავსებულია რეილიეფზე, სადაც მკვეთრად არის დახრილი ფერდობი და ხევი ესაზღვრება მას. მიშენება ხორციელდება სწორ ზედაპირზე, თუმცა კონსტრუქციული შემოწმების მიხედვით, აუცილებელი პირობაა დაცული იქნას შემდეგი სამუშაოები და ნორმები: ვინაიდან უკანა მხრიდან რელიეფი მკვეთრად არის დახრილი, საჭიროა უკანა ნაწილში კოლონების ფუნდამენტი მოეწყოს ხიმინჯოვანი ტიპის და შეიკრას როსტვერგებით. ხოლო წინა ცენტრალური ქუჩის მხრიდან შესაძლებელია მოეწყოს და დაგეგმარდეს სტანდარტული საძირკველი, რაც თვაისთავად უნდა განისაზღვროს გეოლოგიური პირობების შედეგად და დაგეგმარებულ იქნას კონსტრუქციული პროექტის სახით.

საპროექტო შენობას ან ნაკვეთს სხვა მომიჯნავე ტერიტორიებიდან არ ესაზღვრება და არავითარი კავშირი არ გააჩნია შენობებს. წარმოდგენილი მდგომარეობით მიშენების განხორციელება არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს მომიჯნავე ტერიტორიის მიმართ, ვინაიდან არ არის განთავსებული უახლოეს არეალში არავითარი დანიშნულების შენობა-ნაგებობა.



დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი შპს "ტორნადო+"-ს კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ზემოთ ხსენებული მომიჯნავე ტერიტორიები, რომელიც ესაზღვრება საპროექტო ნაკვეთს, კონსტრუქციული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ არავითარი კავშირი და ზეგავლენის გადაცემა არ გააჩნია. დასაშვებად მიგვაჩნია საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით არსებულ მიწის ნაკვეთზე ერთ სართულიან შენობის ფართზე მიშენება, რომელიც წარმოდგენილია არქიტექტურულ პროექტში.

დირექტორი: ა. [illegible] შვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: